საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 052/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 29 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. გ. ბ. დაესწრო 2021 წლის 05 ოქტომბრის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. კ. 2015 წლიდან არის მისი ადვოკატი. გ. ბ.-მა ნ. კ.-ს საადვოკატო მომსახურებისათვის გადასცა 500 ლარი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი დაპირდა დახმარებას უკანონო მშენებლობის აღკვეთასთან დაკავშირებით, როცა მისი საცხოვრებელი კორპუსის სხვენი უკანონოდ დაირეგისტრირეს და მიმდინარეობდა უკანონო მშენებლობა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 13 ივლისს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელე გ. ბ.-ის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, ადვოკატმა შეწყვიტა საჩივრის ავტორთან კომუნიკაცია, არ მიაწოდა ინფორმაცია საქმეზე და არ განახორციელა კლიენტის სასარგებლოდ სხვა საპროცესო მოქმედებები.

1.4 საჩივრის ავტორმა წარმოადგინა 2017 წლის 06 აპრილის, 03 წლის ვადით გაფორმებული მინდობილობა და განმარტა, რომ ადვოკატს ინფორმაცია არ მიუწოდებია საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გაურთულდა ადვოკატთან ურთიერთობა. კლიენტის განცხადებით, ადვოკატი არ უკავშირდებოდა და გამუდმებით ატყუებდა მას. ადვოკატი ეუბნებოდა, რომ იყო საზღვარგარეთ და მის საქმეს ჩამოსვლის შემდეგ გაუძღვებოდა. თუმცა, სამი წლის განმავლობაში ადვოკატ ნ. კ.-ს საჩივრის ავტორის ინტერესების სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია, რის გამოც გ. ბ. იძულებული გახდა მიემართა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურისათვის.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. კ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის სტანდარტი, ითხოვს ადვოკატისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნებასა და ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

ეთიკის კომისიამ 2021 წლის 04 აგვისტოს ადვოკატ ნ. კ.-ს გაუგზავნა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი განცხადება და საქმის მასალები. ადვოკატს ეთიკის კომისიისათვის საკუთარი პოზიცია არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. კ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი № /, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 გ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 29 ივლისს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2017-2020 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ნ. კ. არ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს საქმეზე, ადვოკატმა არ შეატყობინა საჩივრის ავტორს საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე. საჩივრის ავტორი ითხოვს საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის დაბრუნებას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 6.2 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

5.3 ადვოკატი თავისუფალია პროფესიულ საქმიანობაში, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატი დამოუკიდებლად წყვეტს რომელი საქმის წარმოებას დათანხმდეს ან რომელ საქმეზე გააგრძელოს საადვოკატო საქმიანობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

5.4 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

5.5 ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ" (ეთიკის კომისიის 29.10.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10). ეთიკის კომისიამ 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N092/11, განმარტა, რომ „.....ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები."

5.6 გ. ბ.-ის განმარტებით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ, რის გამოც ადვოკატ ნ. კ.-ს კვლავ თავის ადვოკატად მოიაზრებდა.

5.7 გ. ბ. განმარტავს, ადვოკატ ნ. კ. 2015 წლიდან წარმოადგენს მის ადვოკატს, რომელსაც მიმართა უკანონო მშენებლობის აღკვეთის საქმეზე სამართლებრივი რჩევისა და კვალიფიციური წარმომადგენლობის მისაღებად და გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური 500 ლარის ოდენობით. მხარეებს შორის 2017 წლის 06 აპრილს გაფორმდა მინდობილობა, სადაც მარწმუნებელს წარმოადგენს გ. ბ., ხოლო რწმუნებულს ნ. კ.. მინდობილობის ტექსტი ცხადჰყოფს, რომ რწმუნებული უფლებამოსილი იყო დაეცვა მარწმუნებლის ქონებრივი ინტერესები სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში. საქმის მასალებში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება N2/7494-15, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის - გ. ბ.-ის სარჩელი და სადაც საჩივრის ავტორის წარმომადგენელია ადვოკატი ნ. კ..

5.8 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი განცხადება ცხადჰყოფს, რომ გ. ბ. ხშირად უკავშირდებოდა ადვოკატ ნ. კ.-ს, საქმის მსვლელობაზე ინფორმაციის მისაღებად. საჩივრის ავტორის 2021 წლის 29 ივლისის წერილობითი პრეტენზიიდან და 2021 წლის 05 ოქტომბრის

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტებიდან იკვეთება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, ნ. კ.-მ აცნობა გ. ბ.-ს, რომ ის აღარ წარმოადგენდა მის ადვოკატს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნული საუბრის შემდეგ, საკუთარ ადვოკატად კვლავ ნ. კ.-ს მიიჩნევდა, თუმცა ადვოკატთან გასაუბრების შემდეგ მაინც მიმართა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს.

5.9 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

5.10 საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატი ნ. კ. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდეგაც წარმოადგენდა გ. ბ.-ის ადვოკატს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობის განხორციელება მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა, რაც საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 13 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება გ. ბ.-ის დავასთან დაკავშირებით. საქმის მასალებიდან არ ირკვევა რა გარემოებებზე შეთანხმდნენ ადვოკატი და კლიენტი, ასევე ვერ დგინდება ვალდებული იყო თუ არა ადვოკატი ნ. კ. საქალაქო სასამართლოში საქმის დასრულების შემდეგაც გაეწია საადვოკატო მომსახურება საჩივრის ავტორისათვის. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ წარმოაჩენს როგორი იყო შეთანხმება ადვოკატ-კლიენტს შორის და როგორი იყო მომსახურების შინაარსი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გ. ბ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა ნ. კ.-მ. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისთვის, რომ საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასამტკიცებლად კომისიისთვის წარედგინა მტკიცებულებები.

5.11 ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე“. საჩივრის ავტორმა საჩივრის გარდა ეთიკის კომისიაში არ წამოადგინა სხვა რაიმე სახის მტკიცებულება,

რომელიც მიუთითებდა საჩივარში აღწერილ მნიშვნელოვან გარემოებებზე, შესაბამისად, ეთიკის კომისია, მხოლოდ წერილობით პრეტენზიაზე დაყრდნობით დადასტურებულად ვერ მიიჩნევს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ფაქტებს, რომ ნ. კ. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულების შემდეგაც გ. ბ.-ის ადვოკატს წარმოადგენდა და მხარეებს შორის გაგრძელდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. საქმეში წარმოდგენილი არ არის არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატის ვალდებულებას, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდეგაც გაეგრძელებინა საჩივრის ავტორისათვის საადვოკატო მომსახურება. შესაბამისად, არ დგინდება ადვოკატ ნ. კ.-ის ვალდებულება გ. ბ.-ის მიმართ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჰქონოდა კომუნიკაცია საქმეზე.

5.12 ეთიკის კომისიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიაზე, რაც ეხებოდა ადვოკატის მიერ ჰონორარის დაბრუნებას. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. ადვოკატი შეთანხმებული მომსახურების გაწევით გამოიმუშავებს ჰონორარს. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ განახორციელა საქმის შესაბამისი საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, შეისწავლა საქმე, შეიმუშავა სტრატეგია და წარმოადგინა გ. ბ.-ის ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა და 2016 წლის 13 ივლისს სასამართლომ დააკმაყოფილა გ. ბ.-ის სარჩელი. ადვოკატის მიერ შესრულებული სამართლებრივი მოქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია ჰონორარს გამომუშავებულად მიიჩნევს. რაც შეეხება, ჰონორარის დაბრუნების დაკისრებას ადვოკატზე, აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში და ვერ დაავალდებულებს ადვოკატს უკან დაუბრუნოს კლიენტს საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი საფასური. ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდამხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ის არ წარმოადგენოს სასამართლოს და არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავა.

5.13 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მხრიდან არ დასტურდება პროფესიული სტანდარტების დარღვევა.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №052/21 ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/